თამარ ორჯონიკიძე •

საბჭოთა პერიოდში ივანე ჯავახიშვილის 1918-1921 წლებში მოღვაწეობის კრიტიკა ••

აბსტრაქტი

ნაშრომში შესწავლილია საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მიერ 1930 და 1936 წლებში ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის კამპანიის ერთი მიმართულება - ივანე ჯავახიშვილის საქმიანობის კრიტიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდში. ივანე ჯავახიშვილის მიერ იმ პერიოდში დაწერილი ნაშრომები („საქართველოს საზღვრები“ და „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნეში“) გამოცხადდა ნაციონალისტურად, „მეწშევიკების“ დაკვეთით შესრულებულად, მათი „იმპერიალისტური ძრახვების“ გამართლებად. ივანე ჯავახიშვილი ასევე გააკრიტიკეს საქართველოს მიმართ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის დაგმობის და საქართველოს ევროპული ორიენტაციის წარმოჩენის გამო.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ივანე ჯავახიშვილი, საბჭოთა რეპრესიები.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

•• კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდში” ფარგლებში. გრანტის კოდი: FR-21-9053

ცხოვრებაში. თანამშრომლობდა იმ პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას ისახავდნენ მიზნად (M Matsaberidze 2022), იყო იმ დროს არსებული „უპარტიოთა კავშირის“ წევრი (მაცაბერიძე მალხაზ 2022). საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება მას ხშირად მიმართავდა როგორც ექსპერტს. სწორედ ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილმა დაწერა თავისი რამდენიმე ნაშრომი პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები XVIII საუკუნეში“ და „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“. პირველ მათგანში ნათქვამი იყო სიმართლე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის და საქართველოს რუსული ოკუპაციის შესახებ, ხოლო მეორეში ივანე ჯავახიშვილი იკვლევდა საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ საზღვრებს.

საბჭოთა პერიოდში, როდესაც კომუნისტური ხელისუფლების წაქეზებით რამდენჯერმე გაიშალა კრიტიკის კამპანია ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ და ერთ-ერთი „ბრალდება“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მისი საქმიანობა იყო.

ჯავახიშვილის და მისი სკოლის წინააღმდეგ კამპანია 1930 წელს დაიწყო საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1930 წელს უნივერსიტეტის გაუქმების შემდეგ შექმნილ ოთხ ინსტიტუტს შორის მოწინავე სასწავლო დაწესებულება იყო ბოლშევიკების მიერ დაწინაურებული რექტორით - ივანე ვაშაყმაძით სათავეში), სადაც ჯავახიშვილი რექტორობიდან გადადგომის შემდგომ „საქართველოს ისტორიას“ კითხულობდა.

ივანე ვაშაყმაძემ 1930 წლის დეკემბერში ე. წ. „კონდრატიევშჩინას“ წინააღმდეგ კამპანიის დაწყებისას მთავარი „დარტყმა“ ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ წარმართა. თავის მოხსენებაში „ათი წელი საბჭოთა მეცნიერებისა საქართველოში“ (1930 წლის 13 დეკემბერს) განაცხადა, რომ „მენშევიკების დროს“, თურმე „მეცნიერებას საქართველოში დაეუფლა პირწავარდნილი ნაციონალიზმი... მეცნიერებაში ყველაფერი ის, რაც არ უწყობდა ხელს ნაციონალიზმს,

ნაციონალისტური სულის განმტკიცებას - დევნილი იყო“ (ვაშაყმაძე ივანე 1930, გვ. 34). ამ ცილისმწამებლური „დებულების“ დასამტკიცებლად კი ერთადერთი „ფაქტი“ დაასახელა: თურმე „ივ. ჯავახიშვილი იმ მოსაზრებით, რომ დაემტკიცებია სომხეთ-საქართველოს ომის სამართლიანობა, წიგნსაც სწერს: „საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული საზღვრები“ (ვაშაყმაძე ივანე 1930, გვ. 34).

ივანე ვაშაყმაძის განცხადებით, „ისტორიული აზროვნება საქართველოში 1921 წლამდე ძალზე ჩამორჩენილი იყო“ და „ნაწილობრივ ივ. ჯავახიშვილის მეოხებით ეხლაც ჩამორჩენილია“, მისივე დახასიათებით ივანე ჯავახიშვილი „მეთოდოლოგიურად მხოხავი ემპირისტი და ანტი-მარქსისტი“ იყო, აზროვნება კი „ნაციონალისტური ბუნების“ ჰქონდა (ვაშაყმაძე ივანე 1930, გვ. 38-39).

ვაშაყმაძის პათოსი ბევრმა გამომსვლელმა აიტაცა. ერთ-ერთი ყველაზე მონდომებული ვინმე ასპირანტი ყალიჩავა იყო, რომელმაც გალანძღა ივანე ჯავახიშვილი და ისინიც, ვინც ივანე ჯავახიშვილის კრიტიკისაგან, მისი აზრით, თავი შეიკავა. ყალიჩავა შეეხო „მენშევიზმის პერიოდსაც“ და ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი საქართველოს საზღვრების შესახებ „დაწერილი არის მენშევიზმის სულისკვეთებით“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.94). ყალიჩავას განცხადებით ივანე ჯავახიშვილი ამართლებდა „მენშევიზმის იმპერიალიზმს“, როდესაც ივანე ჯავახიშვილი საქართველოს სტრატეგიული საზღვრების დაცვაზე წერდა. სხდომის სტენოგრამაში ყალიჩავას გამოსვლის ეს ნაწილი შემდეგნაირად არის გადმოცემული: „არც ერთი ეტოგრაფია საზოგადო შემოხაზვაში არ არის სწორი, არამედ სწორი არის სამხედრო საზღვრების შემოხაზვა“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.94).

ვახტანგ გურულის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ „შტურმის“ მიუხედავად უნდა ითქვას, რომ 1930 წლის დეკემბრის დისკუსია ხელისუფლებამ მაინც წააგო, „ხელისუფლებამ წააგო პირველი დისკუსია იმ გაგებით, რომ იმ წლებში უნივერსიტეტში ჯერ კიდე ძლიერი იყო ძველი პროფესურა“ (გურული ვახტანგ. 2011).

1936 წელს ახლებური ძალით კვლავ განახლდა ივანე ჯავახიშვილზე თავდასხმები. სხდომები ჩატარდა 23 მარტს - 2 აპრილს (სულ გაიმართა ოთხი სხდომა). ამ დროს უნივერსიტეტში ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიას“ კითხულობდა. აღნიშნულ წელს „საქართველოს ისტორიის“ კათედრას ფილიპე მახარაძე განაგებდა, ხოლო უნივერსიტეტის რექტორი კარლო ორაგველიძე გახლდათ. ვახტანგ გურულის თანახმად, „ეს პოლიტიკური კამპანია ხელისუფლებამ მოიგო, რადგან უნივერსიტეტი, პრაქტიკულად განადგურებული იყო. ვინც დარჩა ძველი პროფესურიდან, ველარაფერს აკეთებდა. ჩაკვდა ის იდეაც, რაც ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა მოიტანეს“. (გურული ვახტანგ. 2011).

1936 წელს ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ დაწყებულ კრიტიკის ახალ კამპანიას მაშინდელი რექტორი კარლო ორაგველიძე ხელმძღვანელობდა. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სხდომაზე 1936 წლის 23 მარტს ვრცელი მოხსენებით გამოვიდა რექტორი კარლო ორაგველიძე სათაურით „საქართველოს ისტორიის საკითხისათვის“.

ორაგველიძემ, სხვა საკითხებთან ერთად, ივანე ჯავახიშვილს კვლავ გაუხსენა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში საქმიანობა და იმ პერიოდში დაწერილი ნაშრომი საქართველოს საზღვრების შესახებ. კარლო ორაგველიძის განცხადებით, „თავისმა ნაციონალისტურმა იდეოლოგიამ ჯავახიშვილი მიიყვანა იქამდის, რომ იგი მენშევიკების ანტისომხური პოლიტიკის დამსაბუთებლადაც კი მოგვევლინა. შემთხვევითი არ არის ჯავახიშვილის „შრომა“ საქართველოს საზღვრების შესახებ. მენშევიკების დაკვეთით აქ ჯავახიშვილი ცდილობს თეორიული საფუძველი შეუქმნას მათ იმპერიალისტურ ზრახვებს სომხეთის მიმართ“ (ორაგველიძე კარლო 1936, გვ.167).

კარლო ორაგველიძემ ივანე ჯავახიშვილი „ქართული იმპერიალიზმის“ დამცველად გამოაცხადა და თავის მოხსენებაში ჯავახიშვილის პოზიცია შემდეგნაირად წარმოადგინა: „ჯავახიშვილს არ მოსწონს, როდესაც ჟორდანიას მთავრობას იმპერიალისტობას აბრა-

ლებენ და იგი ცდილობს მთელი თავისი „მეცნიერული“ არგუმენ-ტაციით დაიცვას ქართველი იმპერიალისტები სომხის იმპერი-ალისტებისაგან“ (ორაგველიძე კარლო 1936, გვ.167).

ამგვარი „არგუმენტების“ მოხმობის შემდეგ კი კარლო ორაგ-ველიძემ დიდის ამბით გააკეთა შემაჯამებელი დასკვნა: „ასე მი-იყვანა პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავისმა ნაციონალისტურ-ბურჟუ-აზიულმა იდეოლოგიამ მენშევიკების სამსახურში. ნაციონალის-ტურ-ბურჟუაზიული თეორია ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ პრაქტიკაში გადაიზარდა“ (ორაგველიძე კარლო 1936, გვ.168).

კარლო ორაგველიძის მოხსენების შემდეგ „გაშლილ კამათში“ ივანე ჯავახიშვილის კრიტიკის აღნიშნული მიმართულება „აიტა-ცა“ ვ. ცინცაძემ. მან პირველ რიგში გააკრიტიკა „რუსეთ-საქართვე-ლოს დამოკიდებულების შესახებ“ 1919 წელს „სტამბოლში დაწე-რილი“ ნაშრომი. ცინცაძეს არ მოსწონდა ის, რომ ივანე ჯავახიშ-ვილი წარმოაჩენდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის რეა-ლურ სურათს, საქართველოს რუსეთთან შეერთებას არ მიიჩნევდა „პროგრესულ“ მოვლენად და საუბრობდა საქართველოს ევროპაზე ორიენტაციის ისტორიულ ფესვებზე. „აი, სანამდე დაექანა პროფ. ჯავახიშვილი, გამოხვეული მენშევიზმის ქურქში - ნაციონალიზმის ქურქში“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.177). ცინცაძემ „იპოვა“ იმის „ახსნაც“ თუ რატომ წერდა ივანე ჯავახიშვილი „კულტურული მშენებლობის“ შემოტანის თაობაზე ევროპიდან და არა რუსეთიდან. ცინცაძის განცხადებით, „თუ რატომ ევროპისაკენ იხედება ის და არა რუსეთისაკენ, ეს გარემოებაც ადვილი ასახსნელია ჩვენთვის, რადგანაც ვიცით, რომ მენშევიკებს საბჭოთა რუსეთი მტრად მი-აჩნდათ“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.177).

ვ. ცინცაძემ საქართველოს ევროპაზე ორიენტაციის თაობაზე ისტორიული ფაქტების ჩვენება ივანე ჯავახიშვილს „მენშევიკების დაკვეთის შესრულებად“ და დანაშაულად ჩაუთვალა: „პროფ. ივ. ჯავახიშვილიც ამ მოტივაციით ცდილობს ევროპასთან იქონიოს კავშირი და საქართველო რუსეთიდან მთლიან მოცილებულად

წარმოუდგინოს საზოგადოებას ისტორიულადაც“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.177).

ცინცაძის განცხადებით ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები „ისტორიის ფალსიფიკაციაა“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.186). ივანე ჯავახიშვილის მიერ „ბოროტად გაგებულია სტალინური დებულება ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.185).

ისტორიის თემიდან ვ. ცინცაძე საზღვრების საკითხზე გადავიდა და კარლო ორაგველიძის მიერ დაწყებული კრიტიკა გააგრძელა. ცინცაძის განცხადებით, „მენშევიზმის ქურქში გამოხვეული პროფ. ჯავახიშვილი ცდილობს საზღვრების დაცვისათვის ყველაფერი შეასრულოს“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.185). ცინცაძის განცხადებით, მთავარი არა სახელმწიფოს საზღვრები, არამედ მშრომელთა განთავისუფლება ჩაგვრისაგან: თურმე „ერის პოლიტიკური უფლების საკითხი საზღვრებია და არა მუშათა კლასის და გლეხობის ბრძოლის ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა მათი განთავისუფლებისათვის ექსპლუატატორებისგან“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.185).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, საქართველოს მთავარი პროკურორის და სამეულის წევრის, ტალახაძის გამოსვლა: „პროფ. ჯავახიშვილი არის ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დასაყრდენი, ბურჯი და დანარჩენი ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, მე მყავს მხედველობაში ახალი ისტორიკოსები, ასე თუ ისე სარგებლობენ მით და სამწუხარო ის არის, რომ ისინიც კი, ვისაც უდავოთ სურს გაწყვიტოს პროფ. ჯავახიშვილთან და მიუახლოვდეს მარქსიზმს, 99%-ს სესხულობენ ჯავახიშვილისაგან და მხოლოდ 1%-ს ეძებენ მარქსიზმში. ასე რომ, პროფ. ჯავახიშვილის გავლენა არსებობს არა მარტო ძველი საზოგადოების ისტორიკოსებზე, არამედ არსებობს მათზედაც, ვისაც სურს გააკრიტიკოს ჯავახიშვილი და გადავიდეს მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე... მე ძალიან მოხარული ვიქნები, რომ ჯავახიშვილმა დაიწყოს გადაიარაღება და გახდეს მარქსისტი, ამაზე კარგი რამ არ შემიძლია ვუსურვო მას, მაგრამ

ამის იმედი ჩვენ ნაკლებად გვაქვს. ამიტომ ჩვენ ვაწარმოებთ მის წინააღმდეგ კრიტიკას, რომელიც მიმართული არის ჯავახიშვილის იდეალისტურ, რეაქციონურ კონცეპციის დასამსხვრევად“. ტალახაძის დასკვნით, „პროფ. ჯავახიშვილს აქვს ნამდვილი ზოოლოგიური შოვინიზმი“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.267).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის „განზოგადოებული“ შეფასებით 1936 წლის 2 აპრილს გამოვიდა ნ. მახარაძე: „მენშევიკური დიკტატურის ისტორიის დაწერა ჯავახიშვილს არ მოუსწრია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჯავახიშვილი ამ პერიოდში აქტიურ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებდა და ხშირად გამოდიოდა მენშევიკური პოლიტიკის ყველაზე უფრო აგრესიული, შოვინისტური პოლიტიკის დაცვის მიზნით“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.292-293).

ნ. მახარაძემ გაიხსენა ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 20 დეკემბერს გაკეთებული მოხსენება „სწორეთ მაშინ, როცა დაშნაკებს და ქართველ მენშევიკებს შორის ომი სწარმოებდა“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.291) და მიუთითა ამ მოხსენების ძირითადი დებულებების კავშირზე ნაშრომთან „საქართველოს საზღვრები“. ნ. მახარაძის განცხადებით, ამ მოხსენებაში „პირდაპირ ზოოლოგიური შოვინიზმი არის განვითარებული“ (ივანე ჯავახიშვილი 2004, გვ.292). როგორც ჩანს, ტერმინი „ზოოლოგიური შოვინიზმი“ ბოლშევიკ ორატორებისთვის ძალზედ მიმზიდველად ჩანდა.

ივანე ჯავახიშვილი 1930 და 1936 წელს მოწყობილ კრიტიკულ კამპანიებს არ დასწრებია. აღნიშნული სხდომების შემდგომ მან წერილით მიმართა საქართველოს განათლების სახალხო კომისარს და პროფესორის თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილების შესახებ პენსიაზე გასვლის სურვილის თაობაზე აცნობა. თუმცა, კრიტიკული კამპანიის შედეგი, ჩანაფიქრის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის დაპატიმრება უნდა ყოფილიყო. მოვლენები, საბედნიეროდ, სხვანაირად წარიმართა.

საქართველოში არსებული საბჭოთა რეჟიმისათვის, რომლის არსებობაც რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი ოკუპაციის

შედეგი იყო, მიუღებელ საქმედ და „ნაციონალიზმის“ გამოვლინებად ეჩვენებოდათ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მოკლე პერიოდი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, ისევე როგორც საქართველო-რუსეთის ურთიერთობის რეალური სურათის წარმოჩენა.

გამოყენებული ლიტერატურა

ვაშაყმაძე ივანე 1930 - ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20 – 30-იანი წლები). გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. თბილისი, „არტანუჯი“, 2004

გურული ვახტანგ 2011 - როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან - „თბილისის უნივერსიტეტი“, 23.04.2011 - https://tsu.ge/data/file_db/newspaper/TSU_29.04.pdf

ივანე ჯავახიშვილი 2004 - ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20 – 30-იანი წლები). გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. თბილისი, „არტანუჯი“.

მაცაბერიძე მალხაზი 2016 - ივანე ჯავახიშვილის ორი ლექცია საქართველოს სამხრეთი საზღვრის შესახებ (1918 წლის 18 და 22 დეკემბერი). თბილისი.

მაცაბერიძე მალხაზ 2022 - ივანე ჯავახიშვილი და „უპარტიოთა კავშირი“ – „პოლიტიკა“, 2022 N 2, გვ.43-56; Ivane Javakhishvili and the Union of (Non-Party) Independents -M Matsaberidze - Politics/პოლიტიკა, 2022

ორაგველიძე კარლო 1936 - ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20 – 30-იანი წლები). გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. თბილისი, „არტანუჯი“, 2004

ჯავახიშვილი ივანე 1919 ა - დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თბილისი.

ჯავახიშვილი ივანე 1919 ბ - საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. თბილისი.

თბილისის უნივერსიტეტი (2011). ივანე ჯავახიშვილის 135 წლისთავისადმი მიძღვნილი ნომერი.

M Matsaberidze 2022 – Ivane Javakishvili and the Georgian Political Spectrum - environment and society, 2022

Tamar Orjonikidze

The Soviet Time Criticism of Activities of Ivane Javakishvili in 1918-1921

Abstract

The paper deals with one of the stages of criticism of Ivane Javakishvili – denouncing the activities of Ivane Javakishvili during the existence of the Democratic Republic of Georgia - waged in 1930 and 1936 by the Communist government of Georgia. The papers written by Ivane Javakishvili during these times ("The Borders of Georgia" and "The Russian-Georgian Relations in the 18th Century") were declared as the nationalist works,. conducted under the order of the "Mensheviks" for justification of their "imperialist aspirations." Ivane Javakishvili was also criticized due to the denouncement of the Russian colonial politics against Georgia and for demonstration of Georgia's European aspirations.

Key words: Georgia; Ivane Javakishvili, Soviet Repressions